

ახალი თაობა



akhaitaoba.ge

სურამში ბატა ნაჭყებიას მკვლელობისთვის მისი ყოფილი ქმარი ლევან ლომიძე დააკავეს

„ცოლთან უთანხმოების
გამო ბოლო 1 თვე
ყოველდღე სვამდა“

გვ.5



ორშაბათი, 20 იანვარი, 2020

№15 (8279)

ფასი: 60 თეთრი

„ივანიშვილი პრემიერობისთვის საფრანგეთის მოქალაქეობას არ დათმობს“



ლევან ბერიძენიშვილი: „არჩევნებამდე ის
კალაძეს არ გადააგდებს“

გვ.3



„ნიკა გვარამია ივანიშვილის სურვილებს ახემოვნებს“

ლადო
სადღობელაშვილი:
„ნულუკიანმა
„ოცნების“
კადრები გაუშვა
და
მერაბიშვილისა
და ახალაიას
კადრები
დატოვა“

გვ.2



„კალაძე ოპოზიციის ისა ნავა, როგორც სააკაშვილი ნავილა შავარდნაძის ოპოზიციის მოქალაქეობის“



გვ.4

ვასტანგ ძაბირაძე:
„ივანიშვილს ურჩევნია,
ძალაუფლება იმ გუნდმა
აიღოს, რომელიც
მისდამი ოდესღაც მაინც
კეთილად იყო
განწყობილი“

ლია მუნაშაძე: „შოთაძის დაბრუნებით ხელისუფლება ჯებირების გამაგრებას ინყებს“

გვ.3




თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილი პრემიერის რანგში უფრო საშიში იქნება“

გვ.4



სუსმა ნინოშვილის გადაღვივების პ.ნ. დააკავეს მან 2 მოქალაქეს 30.000 ლარი მოსთხოვა



გვ.5



5 ანრი ოხანაშვილის
საქმეზე დაკავებულ
პანბანგ რობაქიძეს
1-დან 3 წლამდე
პატიმრობა ემუქრება

2 ზვიად
კუპრავეს
ბოგანაშვილის
გადაყრა 600
ლარი დაუჯდა

5 თურქეთის ვ-მა
მოქალაქე ბათუაში
თურქეთის სხვა
მოქალაქე გაიჭაფა
და 130.000 ლოლარი
მოსთხოვა

2 ივლიანა ნულიანი
1 წელიწადში
პაქიში
3 ბინა იყიდა



„ნიკა გვარამია ივანიშვილის სურვილს ახმოვანებს“

ლადო სადღობელაშვილი: „ნულუკიანმა „ოცნების“ კადრები გაუშვა და მერაბიშვილისა და ახალაიას კადრები დატოვა“



– ანუ შეცდომა იყო მიერთება?

– ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში იუსტიციის ექვემდებარება ციხე.

– მაშინ რა არ მოგწონთ?

– მე ის არ მომეწონა, რომ თუა ნულუკიანმა, იმის მაგივრად, რომ „ქართული ოცნების“ კადრები შეენარჩუნებინა, ამ კადრების 95% მაინც გაუშვა და მერაბიშვილისა და ახალაიას კადრები დატოვა სამსახურებში.

– ეს რატომ გააკეთა?

– არ ვიცი. როდესაც პრობაციის სამინისტრო მიუერთდა იუსტიციას, ძალიან დიდი წმენდა ჩატარდა და ის კადრები, ის უფროსობა, რომლებიც ახალი ხელისუფლების მიერ იყო შემოყვანილი ამ სფეროში, ყველანი გაათავისუფლეს.

თუა ნულუკიანმა ეს ხალხი გაუშვა და ციხეებში დააბრუნა სააკაშვილის კადრები! ძალიან ბევრი ისეთი ოდობური ფიგურა დაბრუნდა ამ სისტემაში, რომლებიც მართლაც ტოვებდნენ სისხლიანი რეჟიმის შთაბეჭდილებას და „ქართული ოცნებასაც“ შესძინეს ეს ელფერი.

ეს ყველაფერი ალბათ იმიტომ გააკეთა თუა ნულუკიანმა, რომ სურდა, სუბარისა და კახიშვილის კადრები მთლიანად მოეშორებინა და თავისი კადრებით შეეცვლა ეს სისტემა. სამსახურო კი ის არის, რომ თუა ნულუკიანის კონტროლქვეშ აღმოჩნდნენ ის უზარმაზარი ვადლებები აქვს ხელისუფლებაში, როგორც იუსტიციის მინისტრს. ეს ძალიან დიდი სამინისტროა, დიდი პასუხისმგებლობით.

ვისაც წვდომა აქვს ამ სისტემასთან, ყვე-

ლამ ძალიან კარგად იცის, რაზეც ვსაუბრობ.

– ჩანს ცვლებენ ნულუკიანს კახიშვილით?

– ძალიან დიდი სურვილი მაქვს, კახიშვილი დაბრუნდეს, მაგრამ ამის არ მჯერა და დიდი ოპტიმიზმით არ ვუყურებ.

– დანიშნის დღიდან თუა ნულუკიანი უცვლელია, ვერაფერს შეარყია მისი სავარძელი.

– ჩემი ინფორმაციით, თუა ნულუკიანს სერიოზული ინფორმაციები აქვს ამ ხელისუფლებაზე.

– ამიტომ ვერ ეხებიან?

– დაიხ, ძალიან სერიოზული კომპრომატები აქვს და ამიტომ ვერ ეხებიან. თუ შეეხებიან, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნულუკიანი ხელშეუხებელი უნდა იყოს. ალბათ იმ შემთხვევაში დათმობს ამ პოსტს, თუ პარლამენტის თავმჯდომარედ წავა. მხოლოდ ამაში თუ გაცვლის ნულუკიანი თავის პოსტს. დღეს ნულუკიანის უკან დგას ძალიან ბევრი ადამიანი. ისინიც არ მისცემენ მას წასვლის საშუალებას. ეს ასე ადვილი არ არის.

– თავისი კლანი შექმნა?

– მოდი, პირდაპირ ვთქვათ, თავისი კლანი შექმნა და ეს კლანი არა მარტო იუსტიციაში, პროკურატურაში, მოსამართლეებთან მიმართებითაც ასეა. თავისი კლანი აქვს ამ ქალს და რა გინდა, რომ ქნა?!

– შოთაძეს აბრუნებენ მთავარ პროკურორად?

– როდესაც დამაკავებს, შოთაძე იყო მაშინ გენპროკურორი და მის მიმართ დადებითად განწყობილი ვერ ვიქნები. ის არც წყალია და არც ღვინო. შესაბამისად, ამ ადამიანის დაბრუნება არ დაბრუნებას რა უნდა მოჰყვებოდა? არ ვიცი, ივანიშვილს მისი მობრუნება რატომ დასჭირდა.

ოპოზიცია ამბობს, კონტროლისთვის სჭირდებაო და დღეს ბადაშვილია გენპროკურორის უფლება-მოვალეობის შემსრულებელი და ბადაშვილი ნაკლებად მონა-მორჩილია ბიძინა ივანიშვილის ან ნებისმიერი სხვა, ვისაც იქ უშუშავია?!

– მაშინ რა მიზნით აბრუნებენ შოთაძეს?

– ამაზე სარწმუნო ინფორმაცია ვერაფერობით არ მაქვს და ვარაუდებით საუბარი ცოტა რთულია. პროკურატურას არც ფრთები შეესხმება შოთაძის მოსვლით და არც გაკეთილშობილებით.

– კადრების შიმშილს განიცდის „ოცნება“? ყოველთვის ძველს აბრუნებენ.

– გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნონა ცაბაძე

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაციები, რომ ივანიშვილი თავად დაბრუნდება პრემიერად, ნულუკიანს კახიშვილი ჩანაცვლებს, ზალკალიანს – ბახტაძე და ასე შემდეგ?

– გააქტიურდა საუბარი ამ ცვლილებებთან დაკავშირებით. ერთადერთი უკეთესი ვარიანტი ხელისუფლებისთვის და საზოგადოებისთვისაც რაც შეიძლება ყოფილიყო, იქნებოდა ის, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნებულიყო პოლიტიკაში და თავად გამხდარიყო პრემიერი. პირველ რიგში თავად პარტიას სჭირდება ივანიშვილს პოლიტიკაში შემოყვანა.

– რატომ პირველ რიგში პარტიას, რა ხდება ასეთი პარტიაში?

– ნუ დაგვაგვიწყდება, რომ პარტია „ქართული ოცნებაში“ კალაძე არის ბოსი.

– აბა ბიძინა ვინ არის?

– ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ თავმჯდომარეა, სხვა დანარჩენი კალაძეა.

– თუმცა უკვე კალაძესაც უტყვენ.

– ასლა წინასაარჩევნო პერიოდი რომ იყოს და პრემიერად კვლავ გახარია იყოს, შესაძლოა, პარტია ორად გახლტყლიყო. ბიძინა ივანიშვილს ვერც კალაძე და ვერც სხვა ვერაფერს გაუბედავს და პრეტენზიას ვერ წაუყენებს, მე შენზე მეტი გამიკეთებიაო.

ივანიშვილი წყვეტდა და კვლავ ის გადაწყვეტს, გინდა აღმასრულებელში და გინდა პარტიაში. სწორედ ამიტომ იყო საჭირო ბიძინა ივანიშვილის შემოყვანა. თუ გავიტყვავთ ბიძინა ივანიშვილს, რომ გახარია რაში აღარ ადანაშაულებენ, ხან ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში, ფულის გათეთრებაში და რომელი ერთი ვთქვა.

– საით მიანიშნებთ, რომ წამგებინა გახარიას პრემიერობა?

კონგრესმენი მარკუეინი მალინი: „შეაფთხებული პარსაქართველოს მიერ დემოკრატიული ღირებულებებიდან გაღმარების გამო“



რესპუბლიკელმა კონგრესმენმა მარკუეინ მალინმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას დია წერილით მიმართა.

მან წერილი სოციალურ ქსელ ტვიტერის მეშვეობით გაავრცელა.

კონგრესმენი წერილში აღნიშნავს, რომ საქართველოს დემოკრატიული ღირებულებებისგან გაღმარების და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით შემოფარებულია.

– როგორც კონგრესის წევრი, გწერთ ჩემი შეშოთების შესახებ საქართველოს დემოკრატიული ღირებულებებისგან გაღმარების და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით შემოფარებულია.

მე ვუერთდები კონგრესში ჩემი კოლეგების, საქართველოს მეგობართა ჯგუფის თავმჯდომარეების, ადამ კინზინგერისა და გარი კონოლის 3 დეკემბრით დათარიღებულ წერილს თქვენს სახელზე, სადაც ხაზგასმულია მათი შეშოთება საქართველოში დემოკრატიულ რეფორმებთან დაკავშირებით.

მიუხედავად 1991 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდგომი პროგრესისა, ბოლო წლებში საქართველოში დემოკრატიული და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ინდიკატორებში მკვეთრად უარყოფითი ტენდენცია გამოვლინდა, – წერს კონგრესმენი.

კონგრესმენის თქმით, სწორედ ამის შედეგია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება. მას მაგალითად მოჰყავს ნავთობისა და გაზის კომპანია „ფორმტერა“ ტენდენციები, რომელიც შევიწროების ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა.

მარკუეინ მალინი ასევე გამოეხატა ფეისბუქის მიერ მმართველ პარტიასთან დაკავშირებული ანგარიშების დაბლოკვას.

– ცოტა ხნის წინ ფეისბუქმა დახურა „ქართული ოცნების“ მმართველ პარტიასთან დაკავშირებული ანგარიშები, რომლებიც საქართველოში ოპოზიციური ხედვების ჩასახშობად „კოორდინირებულ არაეთნოტურ ქცევას“ მიმართავდნენ და ანტიდასავლურ გრძობებს ავითარებდნენ, მათ შორის, განსაკუთრებით აშშ-ის წინააღმდეგ, – წერს ის.

წერილის ბოლოს, კონგრესმენი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო კვლავ დარჩება ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი და საქართველოს მთავრობა შეწყვეტს აგრესიულ ქმედებებს ამერიკული კომპანიების მიმართ.

– ვიმედოვნებ, რომ თქვენი მთავრობა იმოქმედებს სწრაფად იმ გამაფრთხილებელ ნიშნებზე, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, რომელსაც ქართველი ხალხი ასე იმსახურებს, – წერს კონგრესმენი ტვიტერში.

ივლიანე წულიაძე 1 წელიწადში 3 ბინა იყიდა



„ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა დეპუტატმა ივლიანე წულიაძემ ერთ წელიწადში, კერძოდ, 2018 წელს, ვაკეში 3 ბინა შეიძინა, რაშიც ჯამში 210.545 აშშ დოლარი გადაიხადა.

ამის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბერს შევსებულ დეკლარაციაშია აღნიშნული. ამასთან, დეპუტატმა 1 წელიწადში პარლამენტში საქმიანობისთვის ხელფასის სახით 55.485 ლარი მიიღო.

ივლიანე წულიაძემ 2018 წელს შეიძინა 3 ბინა თბილისში. კერძოდ, 60,9 კვ.მ ფართობის, რაშიც 51.765 დოლარი გადაიხადა, 125,3 კვ.მ ფართობის – 106.505 აშშ დოლარი და 61,5 კვ.მ ფართობის – 52.275 აშშ დოლარი.

გარდა ამისა, დეპუტატი ფლობს: 2007 წელს ნავისში 10.000 დოლარად შეძენილი მინის ნაკვეთი (1050,16 კვ.მ) 16, 66%-ს და 2016 წელს თბილისში შეძენილი არასაცხოვრებელი ფართის 25%-ს, რაშიც 12.513,9 ლარია გადახდილი. როგორც დეკლარაციაშია მითითებული, აღნიშნული ფართი 2019 წლის 13 დეკემბერს გასხვისდა.

ამასთან, ივლიანე წულიაძის მეუღლის სახელზეა 1.746 კვ.მ მინის ნაკვეთი თბილისში, რომლის ღირებულებაც 120.000 აშშ დოლარს შეადგენს და ამავე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ფართი, რაშიც 500.000 ლარია გადახდილი.

ივლიანე წულიაძის საკუთრებაშია მოტოსატრანსპორტო საშუალება – პარკვი დევიდსო-

ნი, რომელიც 2019 წელს 20.000 აშშ დოლარად შეიძინა. ასევე, 2019 წელს გამოშვებული „ტოიოტა კოროლა“, რომლის ღირებულებაც 16.500 აშშ დოლარს შეადგენს.

დეკლარაციის შევსების მომენტში დეპუტატი ფლობდა:


თბილისი ბანკის მიმდინარეზე ანგარიშზე 24,03 ბრიტანულ ფუნტს;

პროკრედიტ ბანკი – მიმდინარეზე – 1.932,33 ლარს;

საქართველოს ბანკის საკრედიტოზე – 8.515,68 ევროს, ანაბარზე – 30.036,99 აშშ დოლარს. ხოლო, ნაღდი ფულადი თანხის სახით – 20.000 ლარს.

ივლიანე წულიაძე ფლობს ნილებს სხვადასხვა კომპანიაში (მათ შორის 100%-ან ნილებსაც), ისეთებში, როგორებიცაა: შპს არკი, შპს ბაკურიანი რიზორტ საქართველო, შპს გორგასალი რეზიდენს საქართველო, შპს ნეიშენდა პარკი საქართველო, შპს ტექნიკა საქართველო და ა.შ.

ზვიად კუპრაძეს ბოტასების გადაყრა 600 ლარი დაუჯდა



გენერალურ პროკურატურასთან დაკავებული ზვიად კუპრაძე და ლაშა ცუციერიძე თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცნო.

18 იანვარს მოსამართლე თამარ ოქროპირიძემ ისინი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მხილოდ 166-ე მუხლის დარღვევისთვის ცნო დამნაშავედ, რომელიც წერილშია ხულიგნობას ითვლისწინებს და ადმინისტრაციული სახდელის სახით 600-600-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

ზვიად კუპრაძე თანამოაზრეებთან ერთად 18 იანვარს პროკურატურასთან აქციას მართავდა და გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ირაკლი შოთაძის შესაძლო დაბრუნებას აპროტესტებდა.

მან პროკურატურის ეზოში ბოტასები გადაყარა, რასაც მას და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

ახალი თაობა
გამომცემი
 1993 წლის
 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი

საფინანსო სამსახური – ჯორჯ ბალაძე
სარედაქციო სამსახური – 294-02-55

დირექტორი – ზურაბ შერიძე
გაერთიანების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalioba.ge **ელ.ფოსტა:** axtaoba@mail.ru



17 წლის ზურა ვაშაქიძის საქმიანობა რუსეთის გამარჯვებაში დახმარა ქორეა-საკანდელიძის მემორიალის ფინალისტები გამოვლინდა

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორეას მემორიალის ფინალისტები ცნობილი არიან. სატიტულო მატჩში ერთმანეთს რუსთავი და კაკტუსი დაუპირისპირდებიან. ფინალური შეხვედრა ოლიმპიური ჩემპიონების მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გაიმართება.



თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართული ნახევარფინალური დაძაბული და თვალსაზრისით გამოდგა. ორივე შეხვედრის ბედი ბოლო ნამებზე გადაწყდა და მცირედი დააკლდა, ერთნაირი ანგარიშები დაფიქსირებულიყო. რუსთავმა ქუთაისი 78:74 დაამარცხა, ხოლო კაკტუსმა ოლიმპს 78:76 მოუგო.

ორივე შეხვედრაში თამაშის ბედი ერთმა შეტევამ გადაწყვიტა. პირველ შემთხვევაში ეს გახლდათ ილია ლონდარაძის წარმატებული შეტევა, როცა ეროვნული ნაკრების კანდიდატმა ზუსტი გარღვევით თამაშის დასრულებამდე 6 წამით ადრე 4 ქულით დაანინაურა რუსთავი. კაკტუსი-ოლიმპის მატჩში კი ეს გახლდათ რევაზ როგავას წარუმატებელი საქმიანობა ბოლო წამზე, რომელიც რომ ჩავარდნილიყო, ოლიმპი 1 ქულით გაიმარჯვებდა.

ლონდარიძე გადამწყვეტი ბურთის ჩაგდებას უაღრესად სარგებელი გახლდათ. მის ანგარიშზე საბოლოოდ 21 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა. საუკეთესო კი ნიკოლა ტადიჩი გახლდათ 21 ქულითა და 10 მოხსნით.

რუსთაველმა, რომლებმაც ახალი მთავარი მწვრთნელის, ანატოლი ბოისას თავკაცობით უკვე ზედიზედ 6 მატჩი მოიგეს, ქუთაისელებთან შეხვედრაში დიდად წაადგათ 17 წლის ზურა ვაშაქიძის 4 საქმიანობა.

გუნდმა, რომელსაც ეროვნული ნაკრების 3 კანდიდატი – მერაბ ბოქოლიშვილი, ოთარ ფხაკაძე და გეგი ბაქრაძე ტრავმების გამო აკლდა, მშვენივრად გამოიყენა ახალგაზრდა სამარჯაოს ნიჭიერება, რაც უპირველესად მწვრთნელთა შტაბის დამსახურება, რომელმაც ესოდენ მნიშვნელოვან მატჩში ნდობა გამოუხატა ახალგაზრდა ბიჭს.

რუსთაველებმა გუნდური თამაშისა და თავდადების ხარჯზე იმარჯვეს ძალზე მობილიზებული და მართებული ტაქტიკით მოთამაშე ქუთაისელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კაკტუსის გამარჯვებაში უფრო მეტი დოზით იყო ინდივიდუალობა. ეს უპირველესად არჩილ ჟღენტის გუნდის ამერიკულ ახალწვეულ მაიკ დევისზე ითქმის, რომელიც მეორეხარის ნინა მატჩების დარად ამჯერადაც საუკეთესო იყო. ყველაზე ნათლად გამარჯვებაში დევისის მნიშვნელობაზე მისი სტატისტიკა მეტყველებს: 22 ქულა, 9 მოხსნა, 6 ჩაჭრა და 4 პასი.

კაკტუსელები თითქმის მთელი თამაში იგებდნენ. მესამე პერიოდში 10 ქულითაც გალიდერდნენ და ბოლო წუთებამდე ხელჩასაჭიდი ლიდერობა ჰქონდათ. დასკვნით წუთებზე რევაზ როგავასა და ნიკა დარბაიძის შედეგია-ნობით ოლიმპელებმა ჩამორჩნა 2 ქულამდე შეამცირეს და ლევან გოგალაძის წარუმატებელი შეტევის შემდეგ თამაშის გადასარჩენად 10 წამი დარჩათ. გადამწყვეტი სროლა როგავამ შესრულა, თუმცა აქამდე არაერთი ამგვარი ბურთის ჩაგდება უკანახაზელმა ამჯერად ააცილა...

ბითაქს ღრო გაუზარდას

ნა-ში მორიგი მატჩი გამართა გოგა ბითაქს ინდიანა პეისერსმა, რომელმაც მინესოტასთან ზედიზედ მეორედ, ამჯერად საკუთარ მოედანზე თამაშა და მეტოქეს დაძაბულ ბრძოლაში, მაგრამ კვლავ აჯობა – 116:114. მინესოტაში ჩატარებული შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად პეისერსის უპირატესობამ სულ 2 ქულა შეადგინა.



ტიმბერვულვთან ორი დღის წინ ჩატარებული მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად უფრო შედეგიანი იყო ინდიანას ქართველი ცენტრიც – გოგამ პარკეტზე 10 წუთი გაატარა და 5 ქულა მიითვალა.

20 წლის ქართველმა კალათბურთელმა მეტოქის ფარს 2-ქულიანი 2-ჯერ შეუტია და ორივეჯერ ზუსტად. გოგამ ორიდან ერთი საჯარო ტყორცა გამოიყენა, კიდევ ერთი საქმიანობა კი ააცილა. მის ანგარიშზე ასევე 1 მოხსნა იყო.

ინდიანამ ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო. ბითაქსს გუნდს ახლა 42 მატჩში 27 მოგება აქვს და აღმოსავლეთის სატურნირო ცხრილში მე-5 პოზიციას იკავებს. ინდიანაპოლისელები მომდევნო შეხვედრას სტუმრად დენვერ ნაგეტსთან გამართავენ.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ევროლიგაზე მორიგი მარცხი განიცა-

და – ამჯერად ცსკა-სთან.

ბასკეტბა მე-3 მეოთხედის ბოლო მონაკვეთი ჩააგდეს, 17 ქულით ჩამორჩნენ და მე-4 პერიოდში სიტუაციის გამოსწორება ვერ შეძლეს. მართალია, სირენამდე წუთით ადრე საქართველოს ნაკრების ამერიკელმა მეტჯენინგმა საქმიანობით სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა (83:88), მაგრამ თამაშის შემოსატრიალებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საბოლოოდ არმიულმა კლუბმა 94:90 გაიმარჯვა.

თორნიკე შენგელიამ 33 წუთში 12 ქულა, 5 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება მოაგროვა, მეტჯენინგმა – 12 ქულა.

ბასკონიას 7 მოგება, 13 ნაკება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-14 პოზიციას იკავებს. შენგელიას გუნდი მომდევნო შეხვედრას ისევ რუსულ კლუბ ხიმკისთან ვიტორიაში გამართავს.

საქართველო რუსეთზე გავიდა



უნგრეთში საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის დეკლარაციის შემდეგ იტალიასთან მარცხით დაასრულა – 6:18 პირველ მეოთხედში იტალია დომინირებდა. რევაზ ჩომახიძის გუნდმა რამდენიმე მარტივი შეცდომა დაუშვა შეტევაში და 1:4 ჩამორჩა. ერთადერთი გოლი გიორგი მაგრაძევიძემ გაიტანა.

მე-2 მეოთხედი შედარებით თანაბარი გამოვიდა, ქართველმა წყალბურთელებმა 2 გოლის გატანა შეძლეს – ეს ანდრია ბითაქს და მაგრაძევიძემ შეძლეს. ტაიმი იტალიის ნაკრებმა 7:3 მოიგო.

მე-3 მეოთხედი უხვგოლიანი გამოდგა და 8 გოლი გავიდა, აქედან 3 ქართველთა ანგარიშზე. გოლები ჯეჩა ჯახაია, ზურაბ რურუაშვილი და დამირ ცრეპულაძემ გაიტანეს. სამწუხაროდ, ბოლო მეოთხედში საქართველოს ნაკრები მთლიანად ჩავარდა და 0:6 წააგო.

ჩვენვე ჯგუფში საბერძნეთის ნაკრებმა 12:10 დაამარცხა საფრანგეთი და ამით ჩომახიძის გუნდმა პლეი ოფის საგზური მოიპოვა.

იტალიის ნაკრები პირდაპირ მეოთხედფინალში გავიდა, ხოლო საბერძნეთი და საქართველო პლეი ოფში. საფრანგეთის ნაკრები კი ბრძოლას მე-13 ადგილისთვის გააგრძელებს.

პლეი ოფში საქართველოს ნაკრების მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ზედიზედ მეოთხედ ასპარეზობს ევროპის ჩემპიონატზე და საუკეთესო მიღწევის (მე-12 ადგილი) გათვალისწინებით უკვე განადგობული აქვს.

შედეგები 18 იანვარი

Table with sports results for January 18th, including categories like 'ინტეგრირებული', 'სატურნირო ცხრილი', and 'საქართველო'.

Table with sports results for January 18th, including categories like 'სატურნირო ცხრილი', 'საქართველო', and 'საქართველო'.

Table with sports results for January 18th, including categories like 'სატურნირო ცხრილი', 'საქართველო', and 'საქართველო'.

სკანკოხი

Scrabble board with a grid and a photo of a man.

პერიოდული გამოცემები; 5. თეთრი საკვები სითხე; 6. გარდასული; 7. ლიტერატურის თხრობითი ფანრი; 8. ნილი ბიზნესი; 9. სახელმწიფო აფრიკაში; 10. ნიშნის მოგების გამომატეველი შორისდებულ; 11. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 12. ამხანაგობა, ხელისაწა გაერთიანება; 13. მეფისდროინდელი ყაჩაღი გურიანი; 14. აშშ-ს სამხედრო უწყება; 15. ... დელიანი; 16. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 17. ჭადრაკის ფიგურა; 18. სასმისი; 19. ნაბიჯი ბალეტში; 20. კურორტი აშშ-ში; 21. ვენესა ...; 22. სანინალმდეგოს აღმნიშვნელი ნიშნარითი; 23. ტყაყის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე; 24. ბეთჰოვენის სონატა; 25. საზეიმო ხასიათის ფოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 26. წრწილის ნაწილი; 27. სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი; 28. სისხლის სამართლის დანაშაული; 29. სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტი; 30. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 31. ხანა, ეპოქა; 32. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა სოფელი.

